

## კონვერზაცია და მისი როლი გერმანულ როგორც უცხო ენის სწავლებაში

სიტყვა კონვერზაცია (Konversation) ლათინურიდან შემოვიდა გერმანულ ენაში იტალიური და ფრანგული ენების გზით. კლასიკურ ლათინურში conversation დაფიქსირებულია კავშირის, ურთიერთობის, ნაცნობობის მნიშვნელობით (Umgang, Verkehr). ასე რომ, იგი ზოგადად ადამიანთა შორის ურთიერთობების აღსანიშნავად იხმარებოდა. სენეკასთან conversation ინტიმურობის მნიშვნელობის მატარებელია. საშუალო ლათინურის ლექსიკონებში (მაგ., კლაუდია შმილდერის ლექსიკონში) conversation, ერთი მხრივ, ბერებს შორის ურთიერთობას, ხოლო, მეორე მხრივ, სექსუალურ ურთიერთობას აღნიშნავდა, ხოლო ლათინურ-გერმანულსა და გერმანულ-ლათინურ ლექსიკონში აღნიშნულ მნიშვნელობას საუბრის სემანტიკაც ემატება (Unterhaltung).

მე-12 საუკუნეში სიტყვა conversation ლათინურიდან ფრანგულმა ენამ ისესხა „კავშირ-ურთიერთობის“ მნიშვნელობით. მან ეს მნიშვნელობა მე-16 საუკუნეში შეინარჩუნა და იმავდროულად „კომერციული“ სინონიმად იქცა. მხოლოდ მე-17 საუკუნიდან დაიშვებოდა ამ სიტყვამ ადამიანთა შორის საუბრის მნიშვნელობა - დღევანდელი გაგებით, საურთიერთო, კომუნიკაციური საუბარი. სიტყვის ამ მნიშვნელობამ ასახვა ჰპოვა მრავალ ლექსიკონში, რომლებიც საფრანგეთში გამოვიდა მე-17 საუკუნეში. სწორედ მე-17 საუკუნეში ეყრება საფუძველი გერმანულ ლექსიკოგრაფიას. გამოდის რამდენიმე ლექსიკონი, მათ შორის კასპარ შტილერისა და ქრისტიან გვინიციის ავტორობით. ორივე ეს ავტორი მიზნად ენის სიწმინდისათვის ბრძოლას ისახავდა და ყოველმხრივ ცდილობდა უცხოური სიტყვების ნაცვლად წმინდა გერმანული სიტყვების დამკვიდრებას. სწორედ ამიტომ არც ერთ ამ ლექსიკონში სიტყვა conversation შეტანილი არ არის. ერთადერთი იყო მათას კრამერი, რომელმაც 1678 წელს თავის ლექსიკონში დააფიქსირა ტერმინი conversation, რომლის სხვა მნიშვნელობებს შორის (მოძრაობა, სიცოცხლე, საზოგადოება, ურთიერთობა) ასევე „საუბარიც“ ფიქსირდება. მე-19 საუკუნის დასაწყისში იოჰან ჰაინრიხ კამპემ თავის ერთენოვან გერმანულ ლექსიკონში პირველმა დააფიქსირა სიტყვა conversation „საუბრის“ მნიშვნელობით (Gespräche, Unterredung, Unterhaltung).

თუმცა მე-17 საუკუნეში Konversation, როგორც ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვა, უკვე კარგა ხნის „მოშინაურებული“ იყო გერმანიაში, მაგრამ, როგორც ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, ლექსიკოგრაფები კიდევ დიდხანს თავს არიდებდნენ ამ სიტყვის შეტანას თავიანთ ლექსიკონებში, რადგან მისი აღიარების საფუძველიც კი არ ჰქონდათ. მაგრამ დრო გადიოდა და ტერმინი conversation თანდათანობით თავის ადგილს იმკვიდრებდა ლექსიკონებში. ამ სიტყვის თანამედროვე განმარტება ასეთია: ein höfliches (oft oberflächliches) Gespräch besonders bei einem Besuch, auf einer Feier (geistreiche, höfliche, gepflegte Konversation) - Langenscheidts Großwörterbuch.

Konversation: Unterhaltung; (oft förmlich), Gespräch (in einer Gesellschaft) - BI Lexikon A bis Z in einem Band.

Konversation: eine lebhaft, interessante, gepflegte Konversation (Unterhaltung) - Wörter und Wendungen, Wörterbuch zum deutschen Sprachgebrauch.

Konversation: Беседа, разговор, разговорная практика (на иностранном языке)  
- К. Лейн и др. Großwörterbuch Deutsch - Russisch.

ყურადღებას იქცევს „კონვერზაციის“ მნიშვნელობა რთულ არსებით სახელებში. ასე მაგალითად: Das Konversationslexikon - ენციკლოპედიური ლექსიკონი, das Konversationsstück - მსუბუქი ჟანრის პიესა, die Konversationsstunde - ზეპირი (სასაუბრო) პრაქტიკის გაკვეთილი, der Konversationsstern - მსუბუქი, ძალდაუტანებელი ტონი.

ვინაიდან თავდაპირველად კონვერზაცია მაღალი ფენების წარმომადგენელთა შორის სტუმრობისას და საზეიმო სიტუაციების დროს წარმოებულ საუბარს აღნიშნავდა, ამდენად, მისი მონაწილენი ის პიროვნებები იყვნენ, რომელთაც უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სამეფო კარზე ან დიდებულთა სალონებში მიმდინარე საუბრებში. ესენი იყვნენ პირველ რიგში თავად-აზნაურები ან კარიერისტები ბურჟუაზიული წრეებიდან. დამოკიდებულება თანამოსაუბრეთა შორის სხვადასხვაგვარი იყო. ეს იყო საუბარი მეგობრებთან, უცნობ პირებთან, ნაკლებად ნაცნობ ადამიანებთან. მეორე მხრივ, თანამოსაუბრენი შეიძლება ყოფილიყვნენ ერთნაირი რანგის ან სოციალურად სხვადასხვა საფეხურზე მდგომი პირები. არსებობდა თავადებთან საუბრის წარმართვის უზუსტესი წესები. ამ სპეციალური საუბრის ნორმად ითვლებოდა მიმართვის განსაკუთრებით თავაზიანი ფორმა. მოსაუბრეს სხვადასხვა სტილისტური საშუალებების გამოყენებით უნდა მიეთითებინა თავისი ქვემდგომობა ზემდგომი პირის მიმართ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ კონვერზაციის თითოეულ თანამოსაუბრეს შეგნებული ჰქონდეს თავისი პოზიცია მეორის მიმართ და შესაბამისად იქცეოდეს.

კონვერზაციის თემებიც ყურადღებით უნდა შეერჩიათ. სასიამოვნო კონვერზაციის იდეალად ითვლებოდა არა ერთ რომელიმე თემაზე მიჯაჭვა, არამედ საუბრის თემის რაც შეიძლება ხშირად ცვლა. მაგრამ თემები შერჩეული უნდა ყოფილიყო არა წინასწარ მიზანმიმართულად, არამედ თავისთავად უნდა მოდიოდეს. ამით გამოირიცხებოდა ის მოსაწყენი საუბრები, რომლებსაც ადგილი აქვს მაშინ, როცა ერთი რომელიმე გარკვეული დარგის სპეციალისტები ცდილობენ დეტალურად ისაუბრონ თავიანთ პროფესიონალურ თემებზე, რომლებიც ზოგჯერ თანამოსაუბრეს არც აინტერესებს და ვერც გებულობს. წარმატებულად ითვლებოდა საუბარი თემების მრავალფეროვნებით. თუმცა თემის ხშირ ცვლას თავისთავად შედეგად მოჰყვებოდა ის, რომ ცალკეულ სფეროს მხოლოდ გაკვრით ეხებოდნენ, რის გამოც საუბარი იყო ზერედე, არალრმა. ამდენად, საუბრით მიღებული სიამოვნება განისაზღვრებოდა არა შინაარსობრივი შემეცნებით, არამედ მხატვრული ფორმითა და ხარისხით.

ასეთია მოკლედ კონვერზაციის არსის ზოგადი ისტორიული მიმოხილვა. ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს კონვერზაციის როლი გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროცესში. ამჟერად ჩვენი ყურადღება გადატანილი იქნება დიდაქტიკაზე, შემუშავებული იქნება ახალი პროგრამები კონვერზაციის სწავლებისათვის. კონკრეტული წინადადებები შეეხება გერმანული ენის, როგორც უცხო ენის, სწავლებას.

გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლება, პირველ ყოვლისა, გულისხმობს ენის სწავლებას ზრდასრული ადამიანებისათვის. თუ გადავავლებთ თვალს მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ძირითად მეთოდურ მიმდინარეობებს, თვალსაჩინო გახდება, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში გერმანული ენის

სწავლებაში მხოლოდ და მხოლოდ გრამატიკულ-თარგმნითი მეთოდი გამოიყენებოდა. ამ მეთოდით კლასიკური ენების სწავლების ნიმუშის მიხედვით, პირველ ყოვლისა, ისწავლებოდა გრამატიკული წესები და სიტყვათა მარაგი. მიღებული ცოდნის გამოყენება ხდებოდა უმთავრესად მხოლოდ უცხოურიდან მშობლიურ ენაზე და, პირიქით, მშობლიურიდან უცხოურ ენაზე თარგმნის სავარჯიშოების შესრულებაში. სწავლების შინაარსი წმინდა კოგნიტური იყო. 80-იან წლებში, როცა ამერიკულმა სტრუქტურალიზმმა ახალი ლინგვისტური შეხედულებანი უცხო ენათა სწავლებაშიც გადაიტანა, ძლიერ შეიცვალა გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდიკაც, შეწყდა ე.წ. აუდიო-ლინგუალური ფაზა სწავლებაში. დიდაქტიკური პროგრამების საფუძველი ახლა უკვე იყო რწმენა იმისა, რომ ენის დაუფლება ყველაზე უკეთესად საუბრებით შეიძლება და სახელდობრ იმით, რომ ენის შემსწავლელი მანამ იმეორებს გარკვეული წინადადების ნიმუშს, ვიდრე ის ავტომატიზმამდე არ მივა და კითხვა-პასუხის ეპიზოდებში მოფიქრების გარეშე არ იქნება ჩაშვებული. აქ ცენტრში იდგა სალაპარაკო ენა და ისეთი ენობრივი საშუალებები, რომლებიც საჭიროდ ითვლებოდა ყოველდღიურ საკომუნიკაციო სიტუაციაში. ამდენად, ვარჯიშისათვის გამიზნული წინადადებები უმთავრესად საყოფაცხოვრებო ხასიათის დიალოგებიდან იყო. სახელმძღვანელოში მოცემული მონოლოგიური მეტყველებისათვის გამიზნული ტექსტებიდან ყურადღება გადატანილი იყო ისეთ თემებზე, როგორიცაა, მაგალითად, auf der Post, am Fahrkartenschalter, in der Bäckerei, Im Restaurant და ა.შ. ამ გზით ენის შემსწავლელნი სწავლობდნენ იმას, რაც მათ ნამდვილად დასჭირდებოდათ, როცა ისინი შესასწავლ ენაზე მოლაპარაკე ქვეყანაში შესაბამის სიტუაციაში აღმოჩნდებოდნენ. შესაბამისად, გერმანული ენის სახელმძღვანელოებში წინა პლანზე წამოიწია დიალოგები, რომლებსაც ხშირად ყოველდღიურ საუბრებს (Alltagsgespräche) უწოდებენ. სწავლებამ ენის ლაბორატორიებში გადაინაცვლა. მოგვიანებით აუდიო-ვიზუალურ ხეაზაში - სწავლებაში ჩაერთო ვიდეოაპარატურა. კოგნიტურ-გრამატიკული სწავლება მთლიანად უარყოფილ იქნა. როცა ლინგვისტურმა პრაგმატიკამ, რომელიც გერმანიაში ცნობილი გახდა 70-იანი წლების დასაწყისში, რამდენიმე წლის ყოყმანის შემდეგ თავისი ზეგავლენა უცხო ენათა სწავლების მეთოდიკაზეც გაავრცელა, უკვე ალაპარაკდნენ „კომუნიკაციურ შემობრუნებაზე“. ეს იმას ნიშნავს, რომ სტრუქტურალისტური ვარჯიშის მეთოდები ასევე უარყოფილ იქნა და გერმანული ენის სწავლების შინაარსიც შეიცვალა. შესასწავლ ენობრივ ერთეულებს უკვე განსაზღვრავდა არა სიტუაცია, არამედ პრაგმატული განზრახვა, საუბრის აქტი. სწავლების მეთოდები უფრო მრავალფეროვანი და ძლიერი გახდა. ისინი ორიენტირებული იყო ენის შემსწავლელის მოთხოვნილებებზე, რაც სხვა მეთოდებთან ერთად ცვლად სოციალურ ფორმებს, ცალკეულ, ბარტნიორულ და ჯგუფურ მეცადინეობას, უფრო საინტერესო, სავსე მნიშვნელობის მქონე ტექსტებსა და სავარჯიშო თამაშებს ნიშნავდა. დღევანდელი აქტუალური მეთოდიკა ისევ დაშორდა დოგმატურ მიმდინარეობებს და სხვადასხვა მიზნებსა და ვარჯიშის ფორმებს აერთიანებს. ამდენად, კომუნიკაციური კომპეტენცია ენის კურსების უმეტესობისათვის წინა პლანის სასწავლო მიზანია. ამას შემდეგ მოსდევს სალაპარაკო ენა. ახალი სახელმძღვანელოები წარმოადგენს სამი ასპექტის კომბინაციას: სიტუაცია, თემა და საუბარი. მოხდა თემების ხელახალი გადაამუშავება. სავარჯიშოთა ფორმები მრავალფეროვანია. ვრწმუნდებით იმაში,

რომ გრამატიკის კოგნიტიური სწავლება, განსაკუთრებით ზრდასრულ ადამიანებში უფრო წარმატებულია, ვიდრე სწავლების იმპლიციტიური მეთოდები და სახელდობრ, განსაკუთრებით ისეთ მიზნობრივ ჯგუფებში, რომელთაც სხვა უცხო ენები უკვე შესწავლილი აქვთ კოგნიტიურ-გრამატიკული მეთოდით.

ყველა დიდი თანამედროვე სახელმძღვანელოს ავტორს პროგრამულად შეტანილი აქვს გერმანულ ენაზე თავისუფალი საუბრის მოსამზადებლად სავარჯიშო მასალა. კურსის წამყვანი პედაგოგები ამ მასალას ხშირად იყენებენ დიდაქტიკური კომპეტენციების, მეთოდური გაფორმებისა და კონვერზაციის კურსის დასაგეგმავად. ჰიუბერის გამომცემლობა გვთავაზობს სავარჯიშო მასალის მთელ რიგს კონვერზაციის სწავლებისათვის (მაგ., Rede und Antwort, Übungen zum dialogischen Sprechen, Alltagsthemen im Gespräch, Bildgeschichten für den Konversations- und Aufsatzunterricht), ამას ემატება Spielbücher, Lernspielkarten und kommunikative Spiele für Deutsch als Fremdsprache. ისინი შეიცავენ თამაშებს, რომლებიც იძლევიან იმპულსს საუბრებისათვის.

ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საუბრის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. მათ განეკუთვნება სახელმძღვანელოებში მოცემული კონსტრუქციული დიალოგები, რომელთა აუტენტურობა ყურადღებას იმსახურებს. გარდა ამისა, თემატიზებული უნდა იქნას სასწავლო საუბრების შინაარსი. და ბოლოს განვიხილავთ დისკუსიის საუბრის სპეციფიურ ფორმას, ასევე თამაშებს, როგორც კონვერზაციის სწავლების მეთოდს.

როგორც უფროსი და საშუალო თაობის გერმანული ენის მასწავლებლებისთვის ცნობილია, ადრეული პერიოდის გერმანული ენის სახელმძღვანელოებში მოცემული დიალოგები ერთობ ხისტი და ნაკლებ თავაზიანი ფორმით იყო წარმოდგენილი, რადგან მათ აკლდა ნაწილაკები, შორისდებულები და სასაუბრო ენის სხვა ფენომენები, რომლებიც საუბრებში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ენის შემსწავლელებს ასეთი ტექსტები ვერ აძლევდა ზეპირი სასაუბრო ენისათვის ადეკვატურ მოდელს, პირიქით, ისინი მათ აძლევდნენ იმის მაგალითს, თუ როგორ არ უნდა ილაპარაკო.

უკანასკნელ წლებში გამოცემული სახელმძღვანელოების დიალოგები კი სწორედ პრაგმატული და სოციოლინგვისტური კომპეტენციების გათვალისწინებითაა შედგენილი ენის შემსწავლელთათვის. ისინი ენის პრაქტიკულად გამოყენების დემონსტრირების ნიმუშებს წარმოადგენენ. კომუნიკაცია მასწავლებლისა და ენის შემსწავლელს შორის. ასევე ენის შემსწავლელთა ურთიერთშორის საუბარი სასწავლო პროცესში ენის პრაქტიკულად დაუფლების შესაძლებლობას იძლევა.

კონვერზაციის სწავლების პროცესს მივყავართ იმ შედეგამდე, რომ კონვერზაცია შეგვიძლია განვიხილოთ როგორც დისკუსიის სინონიმი. ამ აზრისაა იოჰანეს ვენცელი. იგი ასახელებს 12 შესაძლო თემას, რომლებიც შეიძლება გამოდგეს დისკუსიების საფუძვლად და გვიჩვენებს, რომ ისინი გავადრმაოთ შემდეგში დაახლოებით 100 სიტყვით და წინასწარ მომზადებული კითხვებით. შეკითხვები, რომლებსაც თავისი საკუთარი პოზიცია უნდა ჰქონდეს დასმული საკითხისადმი, ხელს შეუწყობს ცოცხალ საუბრებს, კარგად მომზადებული სასაუბრო თემა ხელს უწყობს ენობრივი სიძნელების შემცირებას და საუბრის ტემპის დაჩქარებას. მაგრამ მას დიდი ნაკლიც აქვს: ნელდება ინტერესი ნამდვილი დისკუსიისადმი. ფრანც ებერტი და კარლ კუბერი თავისუფალი საუბრისაკენ

მიმავალ გზას სამ ფაზად ყოფენ: 1) დიალოგის ტექსტი იკითხება და ხდება უცნობი სიტყვების დამუშავება, 2) შემდეგ ტექსტი იღებს სასაუბრო ფორმას, 3) მესამე ფაზას ენის შემსწავლელი შეწყვეტს საუბრის სიტუაციაში. მათ უნდა წარმართონ დიალოგი დამუშავებული ტექსტის შინაარსზე. თუმცა ავტორები იმავდროულად მიუთითებენ, რომ წინასწარ დამუშავებული ტექსტის მასალაზე აგებული დიალოგი მაინც საკმაოდ შორსაა ბუნებრივი, წინასწარ მოუმზადებელი დიალოგისაგან, მაგრამ პირველი გარკვეულწილად ამზადებს ნიადაგს მეორისათვის.

საუბრის ნორმალურად წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ არის შერჩეული საუბრის თემა, იწვევს თუ არა იგი საკმაო ინტერესს მოსწავლეებში. ზოგჯერ მოსწავლეებს ნაკლებად აინტერესებთ მოცემული თემა, როცა საუბარი უნდა წარიმართოს არაბუნებრივ სიტუაციაში. განსაკუთრებით აბსურდულია მდგომარეობა, როცა საქმე ეხება შემსწავლელთა ჰომოგენურ ჯგუფს, რომლებიც მხოლოდ დედა ენას ფლობენ, მაგრამ მათ აიძულებენ უცხოურ ენაზე წარმართონ დისკუსია. ინტერკულტურული კომუნიკაციის დროს აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იქნას სოციალიზაციით განპირობებული დაბრკოლებებიც. მგზნებარე და, პირველ ყოვლისა, რთული აზრები უნდა შემოკლდეს და გამარტივდეს, როცა ენის შემსწავლელი ამჩნევს, რომ მათი ცოდნა და უცხო ენის ცოდნაში დარწმუნება ჯერ კიდევ საკმარისი არაა ნამდვილი დისკუსიისათვის. ხდება ისეც, რომ ენის შემსწავლელი ცხოვლად კამათობენ, იგნორირებას უკეთებენ ყოველგვარ ერთობლივ დაბრკოლებას და თითქოს ყურადღებას არც კი აქცევენ უცხო ენის სწორად გამოყენებას. ისინი ისეთ შეცდომებსაც კი უშვებენ, რომლებსაც ჩვეულებრივ მშვიდად მოფიქრების დროს არ დაუშვებდნენ. ასეთ სიტუაციაში მთელი ყურადღება გადატანილია საუბრის თემის შინაარსობრივ მხარეზე, რითაც ძლიერ აგებს უცხო ენის დაუფლების პროცესს.

ასე რომ, ცნებების „კონვერზაცია“ და „დისკუსია“ გაიგივების დროს წინა პლანზე გადმოდის ენობრივი მოქმედების მხოლოდ ერთი ასპექტი, კერძოდ, აზრთა გაცვლა-გამოცვლა (Meinungsaustausch) და ენას იყენებს უმთავრესად აზრთა გაცვლა-გამოცვლის წმინდა ინსტრუმენტად. მაგრამ კონვერზაცია არის არა მხოლოდ საუბარი ინფორმაციათა ურთიერთგაცვლისათვის. მთავარია, რომ მოსწავლეები, რომლებიც დისკუსიას აწყობენ, შინაარსთან ერთად ზრუნავდნენ ენობრივი ფორმების დახვეწისა და უცხოურ ენაზე საუბრის უნარ-ჩვევების სრულყოფისათვის.

ბედაგოგიკასა და უცხო ენათა დიდაქტიკაში გარკვეული ადგილი უჭირავს თამაშების როლს სასაუბრო ენის დაუფლებაში. სპეციალურად უცხო ენათა სწავლებისათვის რამდენიმე კრებული გამოვიდა თამაშებით, რომლებიც ამა თუ იმ სასწავლო მიზანს ემსახურება. სწორედ თავისუფლად საუბრის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის დიდ შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა სახის თამაშები. თამაშებით სწავლების პროცესში იქმნება გარკვეული ნიადაგი საუბრებისათვის. ისინი საუბრების მიზანმიმართულად ვარიანტების შესაძლებლობას იძლევა. თამაშის მეშვეობით სწავლების პროცესში შეიძლება ნებისმიერ თემაზე საუბრის წარმართვა.

გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლებაში თამაშებს შეუძლია არა მხოლოდ ერთადერთი მოვალეობის შესრულება - გააუმჯობესოს მოსწავლეებში უცხო ენაზე საკუთარი აზრის ზეპირად გადმოცემის უნარ-ჩვევა, რადგან კოგნიტიური მოსამზადებელი ფაზებიც ასევეა საჭირო. ისინი თამაშს გადააქცივენ

ვარჯიშის ერთ-ერთ აზრობრივ ფორმად უცხო ენის დაუფლების საქმეში: უცხო ენის ზრდასრული შემსწავლელები, როგორც წესი, ენისადმი რაციონალურ-კოგნიტურ მიდგომას ეძებენ. ამასთანავე, მათ შეუძლიათ დაეყრდნონ კოგნიტური წესების ცოდნას და მასთან დააკავშირონ ახალი ინფორმაციები. კურსის მონაწილენი მართავენ საუბარს როლების მიხედვით, რომლის გარკვეული ნაწილები წინასწარ ჰქონდათ მიცემული. ამით ისინი თავის თავს ამოწმებენ, თუ რამდენად შეუძლიათ წინასწარ თეორიულად დამუშავებული მასალის პრაქტიკაში გამოყენება. ედმონდსონის, გუტცატისა და ნიჰაუზის მეთოდი გვათაზობს, რომ საუბრების წარმართვას წინ უნდა უძლოდეს მაგნიტოფირების მოსმენა და შემდეგ მოსმენილი საუბრების ზეპირი აღდგენა როლების მიხედვით. ედმონდსონის, გუტცატისა და ნიჰაუზის „Sprechfertigkeitkurs Deutsch für Fortgeschrittene“ არის სახელმძღვანელო, რომელიც გვიჩვენებს გზებს, თუ როგორ შეიძლება კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გამომუშავება-გაუმჯობესება. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ კოგნიტური მეთოდი კონვერზაციის სწავლებას თავისუფლების დიდ ნაწილს ართმევს, რომელიც თავისუფლად საუბრის ვარჯიშისათვის აუცილებელია. კოგნიტური კონვერზაციის გაკვეთილები დასაშვებია, რათა შეიქმნას საჭირო თეორიული ცოდნა კონვერზაციული ურთიერთობების შესახებ, და შემდეგ შემსწავლელთ მიეცეს თავისუფალი ატმოსფერო მიღებული თეორიული ცოდნის სასაუბრო სიტუაციაში გამოსაყენებლად. უცხო ენათა დიდაქტიკაში არსებობს რამდენიმე საფუძვლიანად შემუშავებული წინადადება, თუ როგორ შეიძლება უცხო ენის სასაუბრო ნორმების აღქმა-დაუფლება თამაშების გზით. თამაშებს, როგორც ენობრივი გამოხატვის უნარისა და ამასთანავე გონებასახვილობის გამომუშავების საშუალებას, უკვე საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია აქვს.

სანამ უფრო ზუსტად განვიხილავდეთ იმ მოთხოვნებს, რომლებისთვისაც უნდა მოვამზადოთ ენის შემსწავლელი, საჭიროა მოვიფიქროთ, თუ საუბრის რა სახეებია მათთვის რელევანტური (არსებითი, მნიშვნელოვანი). რაც უფრო ზუსტად იქნება დადგენილი შემსწავლელთა საჭიროებანი, მით უფრო ზუსტად შეიძლება განისაზღვროს სწავლების შინაარსი და მეთოდები. ეს უშუალოდ იმ მასწავლებელთა პრეროგატივაა, რომელთაც მინდობილი აქვთ ეს საქმე და კარგად იცნობენ თავიანთ მიზნობრივ ჩვეულებებს. სწავლების კონცეფციის პროექტში საუბარი შეტანილი უნდა იქნას ზოგადად, როგორც საუბარი ორ ან რამდენიმე პირს შორის, რომლებიც სხვადასხვა სახით შედიან ერთმანეთთან ურთიერთობაში: საუბარი მოსწავლეებს შორის ან მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის, საუბარი კოლეგებს ან ზემდგომსა და ქვემდგომებს შორის, საუბარი ბინის დამქირავებელსა და გამქირავებელს შორის, მეზობლებს შორის, კლიენტებსა და გამყიდველებს, მეგობრებს ან უცნობებს შორის. საუბარი შეიძლება იყოს პირადული ან საჯარო, პოდიუმზე უთვალავი მსმენელის წინ კამერასთან. სურვილი, რომელსაც შეიცავს ესა თუ ის საუბარი, შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. თავისუფალი საუბარი მეზობლებს შორის საყოფაცხოვრებო თემებს შეეხება, საშინაო სამუშაოს განხილვის დროს დოცენტსა და სტუდენტებს შორის ისმება საქმიანი კითხვები და შეიძლება იყოს თხოვნა დახმარების შესახებ. ხილულის მაღაზიაში საუბარი, მაგალითად, ვაშლს ან მსხალს ეხება. მიზანთა და განზრახვათა რიცხვი, რომელსაც შეიძლება შეიცავდეს საუბარი, უსასრულოა. საერთო ყველა სახის საუბრისათვის არის ის, რომ

ისინი საერთოდ, როგორც წესი, კოოპერაციის პრინციპით არიან შედგენილი. მოსაუბრე ყოველთვის ცდილობს კოოპერაციაში შევიდეს თავის თანამოსაუბრესთან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვეულებრივ წარმოითქმის ისეთი ფრაზები, რომლებიც საუბრის თემას შეესაბამება.

უცხო ენათა სწავლების მიზანი ზოგადად იმაში მდგომარეობს, რომ დავებპაროთ ენის შემსწავლელებს უცხოურ ენაზე ისეთივე ფართო დიაპაზონის კომუნიკაციური კომპეტენციის შექმნაში, როგორც მას ბავშვობიდანვე გააჩნია თავის მშობლიურ ენაში. საკომუნიკაციო კომპეტენციის ქვეშ სხვადასხვა სპეციალისტს განსხვავებული უნარი ესმის. დამკვირვებლის თვალსაზრისით, საკომუნიკაციო კომპეტენცია შეიცავს ასევე ლექსიკურ და გრამატიკულ კომპეტენციებს, ანუ, ეს სამი კომპეტენცია თითქმის თანასწორუფლებიანია იმისგან დამოუკიდებლად, ავირჩევთ თანწყობას თუ ქვეწყობას. საკომუნიკაციო კომპეტენცია შეიძლება შემდეგ ნაწილობრივ კომპეტენციებად დანაწევრდეს, როგორც ეს მკვლევარ კასპერს მიაჩნია. იგი პრაგმატულ კომპეტენციას აღწერს, როგორც ფუნქციონალურ ნაწილობრივ კომპეტენციას, რომელთან ერთადაც იგი ასახელებს სამეტყველო მოქმედების ცოდნას, მის კონტექსტუალურ და სოციალურად მოზომილ რეალიზაციას, მოსაუბრეთა შეცვლის ორგანიზაციას და ხელისშემშლელი პირობების თავიდან აცილების საშუალებებს, ასევე სტრატეგიულ კომპეტენციას, რომელთან ერთად შეიძლება ჩაირთოს ცოდნა სტრატეგიების შესახებ, რომლებიც გვეხმარება ნათქვამის გაგებისა და საკუთარი აზრის გადმოცემის პროცესში პრობლემების დაძლევაში.

შენიშნავთ, რომ ყველა ეს მიზანდასახულება (Zielsetzung) მხოლოდ იმ შემსწავლელებს შეეხება, რომლებსაც გარკვეული დროის მანძილზე გერმანიაში მოუხდებათ ცხოვრება, ან თავიანთი გერმანული ენის ცოდნის გამოყენება იმ პირებთან, რომელთათვისაც გერმანული მშოლიური ენაა, ხოლო იმათთვის, რომლებიც უცხო ენას მხოლოდ იმისათვის სწავლობენ, რომ ამ ენაზე დაწერილი სპეციალური ტექსტები ორიგინალში წაიკითხონ და გაიგონ, მაგრამ არასოდეს არ დასჭირდებათ ამ ენაზე საუბარი, მათთვის საკომუნიკაციო კომპეტენცია სწავლის მიზანი არაა.

პრაგმატული კომპეტენციის დროს ცენტრში დგას ენობრივი მოქმედება (Sprechhandlung). იგი შეიძლება გერმანული ენის შემსწავლელისათვის ორი მიზეზით წარმოადგენდეს სიძნელეს. ერთ-ერთი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ენობრივი მოქმედების რეალიზაცია ყოველთვის პირდაპირ არ ხდება, არამედ ხშირად სახეშეცვლილად გადმოიცემა. საშიშროება იმაშია, რომ თუ მოსაუბრე ენაში ნავარჯიშები არაა, მას გაუჭირდება თანამოსაუბრის ენის გაგება და მასზე სათანადოდ რეაგირება. ასე მაგალითად, თხოვნა, რომ დაიხუროს ფანჯარა, აუცილებელი არაა ზმნა „bitten“-ის გამოყენებით გადმოიცეს, არამედ შესაძლოა სხვა საშუალებებითაც, მაგალითად, შენიშვნით, რომ ცივა; სურვილით, რომ მასაც ჰქონდეს ისეთი თბილი პულოვერი, როგორც მის თანამოსაუბრეს; შეკითხვით, დანარჩენებსაც სცივათ თუ არა და ა.შ. არის ისეთი სიტუაციებიც, როცა საერთოდ საჭირო არ არის პირდაპირი სასაუბრო აქტი. კონტექსტი და თანამოსაუბრისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს, თუ როგორ შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ენობრივი მოქმედების რეალიზება.

საუბრის წარმართვისას მნიშვნელოვანია საუბრის წარმოების ტექნიკის ცოდნა. უცხოელებს, რომლებმაც არ იციან საუბრის ტექნიკა, ყოველთვის

უჭირთ ამ ენაზე მოლაპარაკებთან საუბარი. იგულისხმება მოსაუბრეთა შეცვლის მომენტები და საუბრის დაწყება-დამთავრება, რომლებიც წესების ცოდნის გარეშე გარკვეულ სირთულეებს უქმნიან მოსაუბრეს. საუბრის საწყისი და ბოლო ფაზები ჩვეულებრივ უფრო ძლიერ რეგლამენტირებულია, ვიდრე საუბრის ძირითადი ცენტრალური ნაწილი. დისკუსიის კომპეტენციაც ორი ნაწილისაგან შედგება, სახელდობრ, ერთი მხრივ, საუბრის წარმართვის თეორიული ცოდნისა და, მეორე მხრივ, ამ ცოდნის პრაქტიკულ ენობრივ უნარ-ჩვევებში გადატანა.

კონვერზაციის სწავლებისას საკომუნიკაციო კომპეტენციის მნიშვნელოვანი ნაწილია სტრატეგიული კომპეტენცია, რომელიც ითვალისწინებს, რომ შესაძლო გაგებისა და საკუთარი აზრის გადმოცემის სიძნელეებს სათანადო სტრატეგიებით დავუპირისპირდეთ. ზოგადი სტრატეგიები შესაძლებელს ხდის საკუთარი მიზნები თანამოსაუბრის მოთხოვნებს შევუფარდოთ.

საუბარი, როგორც წესი, თანამოსაუბრეთა მისალმებით ანუ წყვილადი პროცესით იწყება. ერთი პიროვნება ესალმება მეორეს და, შესაბამისად, მომდევნო თანამოსაუბრეებს. ისინიც მისალმებითვე პასუხობენ, მეტწილად იმაე ან მსგავსი ფორმით. ჩვეულებრივ, ამ დროს თანამოსაუბრენი ხელსაც ართმევენ ერთმანეთს მისალმებით, რომელიც მოდიფიცირებულია იმის მიხედვით, თუ დღის რომელ მონაკვეთში მიმდინარეობს საუბარი და რომლის დროსაც ფართოდაა გავრცელებული დიალექტური და სტილისტური ვარიანტები.

თუ ორმხრივი მისალმების შემდეგ საუბარი გრძელდება, მაშინ გადადგმული უნდა იქნას რამდენიმე რიტუალიზებული ნაბიჯი საუბრის დაწყებისათვის. ასე მაგალითად, მისალმების შემდეგ ისმება კითხვა, თუ როგორ გრძნობს თავს თანამოსაუბრე, რომელსაც ეცემა მოკლე პასუხები და ანალოგიური შინაარსის შემხვედრი შეკითხვა. ამას შეიძლება მოსდევდეს საუბარი უკანასკნელი საუბრის შემდეგ გასული პერიოდის შესახებ. შეიძლება საუბარი წარიმართოს დროის დიდი მონაკვეთის შესახებ, რომელიც ამ ორ შემხვედრას შორის იყო და ხაზი გაუსვას იმასაც, თუ რაოდენ კარგია, რომ ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ან კიდევ შეიძლება დასმულ იქნას კითხვა იმის შესახებ, თუ რა ცვლილებები მოხდა უკანასკნელი შემხვედრიდან დღემდე. მისალმების შემდეგ ხშირად საუბარი შეიძლება წარიმართოს ამინდის შესახებ, რომელიც საკუთრივ საუბრის ძირითად თემას საერთოდ არ წარმოადგენს. ამის შემდეგ ერთ-ერთ თანამოსაუბრეს შეუძლია თავის პარტნიორს საუბრისათვის რომელიმე გარკვეული თემა შესთავაზოს, რომელიც თანამედროვეს შეუძლია ან მიიღოს და დაიწყოს საუბარი მასზე, ან საერთოდ უარყოს ის. ასე მთავრდება საუბრის დაწყების პირველი ფაზა და იწყება საკუთრივ საუბარი.

საუბრის თემის შერჩევის განხილვისას, პირველ ყოვლისა, საუბარია იმაზე, თუ, სახელდობრ, რომელი თემები დგას საუბრის ცენტრში და თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის გარკვეული თემა კონკრეტულ ადგილსა და დროს ან თვით მოსაუბრის განზრახვას. თემის შერჩევისას გასათვალისწინებელია ძირითადი წესი, რომლის მიხედვითაც არ უნდა დავიწყოთ საუბარი ისეთ თემაზე, რომელიც შეურაცხყოფს ან ზიანს აყენებს რომელიმე თანამოსაუბრის იმიჯს. ასე მაგალითად, გერმანიაში მრავალ წრეში სასურველი არაა ფულზე საუბარი, რაც ასევე გამორიცხავს ისეთ თემებზე საუბარს, როგორიცაა: შემოსავალი, ქირა, ფუფუნების საგნების ფასები და მსგავსი რამ. მეორე მხრივ, არსებობს ასევე ისეთ პიროვნებათა წრეებიც, რომლებშიაც ეს ტაბუირება მხოლოდ შეზღუდულადაა დაცული. ასე



მაგალითად, ახალგაზრდულ და სტუდენტურ წრეებში, რომელთაც ჩვეულებრივ მცირე შემოსავალი აქვთ და მათ დასამალი არაფერი აქვთ. ასევე სარისკოდ ითვლება შეკითხვა ასაკის შესახებ.

და ბოლოს ჩნდება კითხვა: გამოვიყენოთ თუ არა ცნება *Konversationsunterricht*, ხომ არ მოძველდა იგი, რადგან თვითონ კონვერზაცია ჩვენს თანამედროვე საზოგადოებაში ისეთ დიდ როლს აღარ თამაშობს, როგორსაც იგი თამაშობდა 2-3 საუკუნის წინ და, აქედან გამომდინარე, სიტყვა კონვერზაციასთან ხშირად დაკავშირებულია ძველებური, არქაული წარმოდგენები. ხომ არ იქნებოდა უკეთესი გვეხმარა ტერმინი *Gesprächsunterricht*. ბევრი მეთოდისტი დღეს უკვე ამჯობინებს ნაცვლად ტერმინისა "*Konversationsunterricht*" იხმაროს ტერმინი "*Gesprächsunterricht*".

ჩვენი აზრით, ცნებას *Konversationsunterricht* ან *Konversationskurs* ის უპირატესობაც აქვს, რომ ის გასაგებია მრავალ ენაზე როგორც ინტერნაციონალიზში. ეს კი დიდი უპირატესობაა სწავლების იმ კურსისათვის, რომელიც განკუთვნილია უცხოელთათვის.

„ცნებაში *Konversationsunterricht* ჩადებულია ფესვი, რომელიც მე-16 საუკუნემდე წვდება. ჩვენ ის არ უნდა ამოვიძირკვოთ“, ამბობს ამ თემის გულმოდგინე მკვლევარი კარინ ელერი.

("Im Begriff *Konversationsunterricht* steckt eine Wurzel, die bis uns ins 16. Jahrhundert zurückreicht. Wir sollen sie nicht ausreißen", - Karin Ehler).

### ლიტერატურა

- Karin Ehler, *Konversation*, München: Iudicum - Verlag, 1996.  
 Ralf Glindemann, *Zusammensprechen in Gesprächen* Max Niemeyer Verlag, Tübingen, 1987.  
 Karlheinz Stierle, *Das Gespräch*, Rainer Warning Wilhelm Fink Verlag, München, 1984.  
 Thomas Bliesener, *Gesprächskrisen*. Westdeutscher Verlag, 1984.  
 Winfried Lappe, *Gesprächsdynamik* Kümmerle Verlag, 1983.  
 Winfried B. Lerg, *Das Gespräch*, Bertelsmann Universitätsverlag, 1970.

---

**LEILA TANDILASCHVILI****KONVERSATION UND IHRE ROLLE IM UNTERRICHT  
DER DEUTSCHEN SPRACHE**

Das Wort Konversation ist aus dem Lateinischen über die italienische und französische Sprachen ins Deutsche gekommen. Im Klassischen Latein ist "conversatio" im Sinne von "Umgang, Verkehr" belegt. Es wurde also sehr allgemein für zwischenmenschliche Begegnungen gebraucht. Mittellateinische Wörterbücher geben "conversatio" einerseits mit "mönchischem Lebenswandel" und andererseits mit "sexuellem Verkehr" wieder. Im Ausführlichen lateinisch - deutschen und deutsch - lateinischen Handwörterbuch wird zusätzlich die Bedeutung "öfterer Gebrauch" und "häufiger Aufenthalt" aber auch "Unterhaltung" notiert.

Heutzutage ist Termin "Konversation" mit dem Wort "Gespräch" identisch und dementsprechend gebraucht man Termini: "Konversationsunterricht" oder "Gesprächsunterricht".

In der vorliegenden Arbeit ist die Rede über die Rolle der Konversation im Unterricht der deutschen Sprache als Fremdsprache.